სადეპოზიტო სერტიფიკატის ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები	
აღნიშნული სერტიფიკატი არის არასტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატი და მასზე არ ვრცელდება კომერციული ბანკების სტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატების დებულების მოთხოვნები.	
სადეპოზიტო სერტიფიკატის შეძენის შეთანხმება N [თარიღი]	
სადეპოზიტო სერტიფიკატის საპროცენტო განაკვეთი	
წლიური საპროცენტო განაკვეთის ტიპი:	ფიქსირებული
სადეპოზიტო სერტიფიკატის წლიური საპროცენტო განაკვეთი:	%
სადეპოზიტო სერტიფიკატის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი:	% (ლარის 15% გამყარების შემთხვევაში ,ეფექტური - %)
ფინანსური ხარჯი	
• უნაღდო ანგარიშსწორების გზით ჩარიცხული ძირითადი თანხის ანგარიშიდან გატანის საკომისიო	უფასო
• სერტიფიკატზე დარიცხული სარგებლის ანგარიშიდან გატანის საკომისიო	უფასო
სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია	
ხელშეკრულების დადების თარიღი:	
სადეპოზიტო სერტიფიკატის მოქმედების ვადა:	
• სადეპოზიტო სერტიფიკატის ნომინალური ღირებულება და ვალუტა	აშშ დოლარი
• სადეპოზიტო სერტიფიკატის ვადაზე ადრე გამოსყიდვა შესაძლებელია შეძენიდან 6 თვის შემდეგ:	მფლობელის ინიციატივით - პროცენტი - % და პირგასამტეხლო %. ბანკის გადაწყვეტილებით - %
მომხმარებელს არ აქვს ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის უფლება, რაც არ გულისხმობს ხელშეკრულებაზე უარის თქმას	
„თქვენი დეპოზიტი დაზღვეულია „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილ დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ფარგლებში	
ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში, მომხმარებლის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში - არანაკლებ ერთი თვით ადრე წერილობით/ელექტრონული ფოსტით/ინტერნეტ-ბანკით/მოკლე ტექსტური შეტყობინებით	
მომხმარებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია ბანკის ნებისმიერ ფილიალში, სერვისცენტრში ან სათავო ოფისში, ზეპირი, თავისუფალი წერილობითი, სტანდანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით.	
უცხოური ვალუტით განთავსებული სადეპოზიტო სერტიფიკატი მომხმარებელს მნიშვნელოვანი რისკის წინაშე აყენებს!	
ვალუტის კურსის ცვლილებამ შესაძლოა ლარით გამოხატული სარგებელი მნიშვნელოვნად შეამციროს!	
ლარის შესაძლო 15%-იანი წლიური გამყარების შემთხვევაში გაანგარიშებული სადეპოზიტო სერტიფიკატის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი:	- %

გაეცანით მომხმარებლთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდსა: www.nbg.gov.ge/cp და ცხელ ხაზზე: (+995 32) 2406 406

სადეპოზიტო სერტიფიკატის შეძენის შეთანხმება N [ხელშეკრულების ნომერი]

თარიღი:[**თარიღი**] ადგილი: **საქართველო, თბილისი**

დასახელება: საიდენტიფიკაციო ნომერი:	**სს სილქ ბანკი** **201955027**
წარმოდგენილი შემდეგი უფლებამოსილი პირის მიერ:	
სახელი, გვარი:	**მაია ხარიტონაშვილი**
პოზიცია:	**ფილიალის სერვის ცენტრის მმართველის მოადგილე**
შემდგომში მოხსენიებული, როგორც **„ბანკი“**	
დასახელება/სახელი,გვარი:	გურამ რეხვიაშვილი
საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი:	01024011342
მისამართი	საქართველო, ქალაქი თბილისი, ილია ოდიშელიძის ქუჩა, N 31
წარმოდგენილი შემდეგი უფლებამოსილი პირის მიერ:	
სახელი, გვარი:	
პირადი ნომერი:	
თანამდებობა/სტატუსი:	
ტელეფონი, ელფოსტა:	
მინდობილობა:	**დამოწმებული წ., ნომერი #, ნოტარიუსი**
შემდგომში მოხსენიებული, როგორც **„მფლობელი“ ან/და „მომხმარებელი“**	

მუხლი 1 შეთანხმების საგანი

1.01 მხარეები წინამდებარე შეძენის შეთანხმებით დებენ სადეპოზიტო სერტიფიკატის ხელშეკრულებას, რომლის თანახმად მფლობელი იხდის სადეპოზიტო სერტიფიკატის ღირებულების შესაბამის თანხას, რომელსაც ბანკი დაარიცხავს სარგებელს პროცენტის სახით და სადეპოზიტო სერტიფიკატის ვადის გასვლის შემდეგ დაუბრუნებს მფლობელს სადეპოზიტო სერტიფიკატის ნომინალურ ღირებულებას.

1.02 მფლობელი ამ შეძენის შეთანხმების დადებით ადასტურებს, რომ იცნობს და ეთანხმება ბანკის ვებგვერდზე www.silkabank.ge განთავსებულ სადეპოზიტო სერტიფიკატის პირობებს, რომელიც განთავსებულია ბანკის ვებ-გვერდზე www.silkbank.ge და რომელიც ძალაში შედის წინამდებარე შეთანხმების დადასტურებისთანავე.

მუხლი 2 სადეპოზიტო სერტიფიკატის ძირითადი პირობები

2.01	სადეპოზიტო სერტიფიკატის ტიპი:	არასტანდარტული დისკონტური სადეპოზიტო სერთიფიკატი
2.02	სადეპოზიტო სერტიფიკატის ღირებულება და ვალუტა:	აშშ დოლარი
2.03	სადეპოზიტო სერტიფიკატის ნომინალური ღირებულება და ვალუტა:	აშშ დოლარი
2.04	სადეპოზიტო სერტიფიკატის ვადაზე ადრე გამოსყიდვის პირგასამტეხლო:	განისაზღვრება წინამდებარე შეძენის შეთანხმების 2.16 პუნქტის შესაბამისად.
	სადეპოზიტო სერტიფიკატის ვადაზე ადრე გამოსყიდვის საკომისიო ბანკის ინიციატივით:	%
2.05	სადეპოზიტო სერტიფიკატის ვადა:	366
2.06	პროცენტის რეალიზაციის ანგარიში:	
2.07	საპროცენტო განაკვეთის ტიპი:	ფიქსირებული
2.08	წლიური საპროცენტო სარგებელი (პროცენტი):	%
2.09	ეფექტური საპროცენტო სარგებელი:	% (ლარის 15% გამყარების შემთხვევაში ,ეფექტური - %)
2.10	სადეპოზიტო სერტიფიკატის გასხვისების საკომისიო	სადეპოზიტო სერტიფიკატის ნომინალური ღირებულების % , მინიმუმ ლარი
2.11	პროცენტის დარიცხვის პერიოდულობა:	პერიოდის ვადის ბოლოს
2.12	ფინანსური ხარჯი:	
	• ანგარიშის გახსნის საკომისიო	

	• უნაღდო ანგარიშსწორების გზით ჩარიცხული ძირითადი თანხის ანგარიშიდან გატანის საკომისიო	
	• სერტიფიკატზე დარიცხული სარგებლის ანგარიშიდან გატანის საკომისიო	
2.13	ლარის შესაძლო 15%-იანი წლიური გამყარების შემთხვევაში სადეპოზიტო სერტიფიკატის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (დეპოზიტის უცხოურ ვალუტაში განთავსების შემთხვევაში):	- %

2.14 სადეპოზიტო სერტიფიკატის პროცენტის დაანგარიშება ხდება ყოველდღიურად, სადეპოზიტო სერტიფიკატის თანხაზე, წელიწადში 365 დღეზე გაანგარიშებით.

2.15 სერტიფიკატის მოქმედების განმავლობაში, ბანკი უფლებამოსილია, მფლობელის მომართვის საფუძველზე ნებისმიერ დროს თავად შეიძინოს - ვადამდე გამოისყიდოს სერტიფიკატი მფლობელისაგან, წინამდებარე შეძენის შეთანხმებით ქვემოთ შეთანხმებული ან მისგან განსხვავებული საფასურის (მხარეთა მიერ ახალ საფასურზე შეთანხმების შემთხვევაში) გადახდის გზით. ამასთან, სერტიფიკატის ვადამდე გამოსყიდვა წარმოადგენს ბანკის უფლებამოსილებას და არა ბანკის ვალდებულებას.

2.16 სერტიფიკატის შეძენის დღიდან 6 (ექვსი) კალენდარული თვის გასვლის შემდეგ, მფლობელის მომართვიდან არაუგვიანეს სამი საბანკო დღის განმავლობაში, სადეპოზიტო სერტიფიკატის ბანკის მიერ გამოსყიდვის შემთხვევაში, გამოსყიდვა მოხდება:

სადეპოზიტო სერტიფიკატის თანხას, შეძენის დღიდან - ვადაზე ადრე გამოსყიდვის დღემდე, პროცენტი არ დაერიცხება, ამასთან, სადეპოზიტო სერტიფიკატის ღირებულებიდან დაიქვითება ბანკის მიერ წინასწარ დარიცხული და გადახდილი პროცენტი (ასეთის არსებობისას).

2.17 ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს სადეპოზიტო სერტიფიკატის ხელშეკრულების ნებისმიერი პირობა (გარდა წინამდებარე შეთანხმების მე-2 მუხლით განსაზღვრული პირობებისა 2.05 პუნქტის გამოკლებით), ასევე საბანკო ოპერაციების წარმოების სტანდარტული პირობები ან/და ბანკის მომსახურების ტარიფები. ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში, მომხმარებლის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში - არანაკლებ ერთი თვით ადრე წერილობით/ელექტრონული ფოსტით/ინტერნეტ-ბანკით/მოკლე ტექსტური შეტყობინებით.

2.18 ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივი გადაწყვეტილების საფუძველზე, ვადაზე ადრე გამოისყიდოს სადეპოზიტო სერთიფიკატი. გამოსყიდვის გადაწყვეტილების შესახებ არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე აცნობოს მფლობელს წერილობით/ელექტრონული ფოსტით/ინტერნეტ-ბანკით/მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნის გზით, განახორციელოს სერტიფიკატის დაფარვა და შესაბამისი ჩანაწერის გაუქმება. სადეპოზიტო სერტიფიკატის ბანკის მიერ გამოსყიდვის შემთხვევაში მფლობელი არ იხდის ვადაზე ადრე გამოსყიდვის საკომისიოს და გამოსყიდვის თარიღამდე დარიცხული სარგებელი სრულად ჩაერიცხება მას ანგარიშზე.

2.19 თუ წინამდებარე სადეპოზიტო სერტიფიკატი (მოთხოვნის უფლება) დაგირავებულია ბანკის სასარგებლოდ, დეპოზიტორის ან/და მესამე პირ(ებ)ის მიერ ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის სრულად და ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად, მაშინ ბანკი უფლებამოსილია შეამციროს სადეპოზიტო სერტიფიკატის ნომინალური ღირებულება ზემოაღნიშნული ვადამოსული/ვადადამდგარი ვალდებულებების შესაბამისი ოდენობით.

2.20 დაუშვებელია სადეპოზიტო სერტიფიკატის დანაწევრება ან თანხის დამატება.

2.21 მიუხედავად ნომინალის ღიღებულებისა, ერთ გარიგებაზე მფლობელზე რეგისტრირდება ერთი სადეპოზიტო სერტიფიკატი.

2.22 სადეპოზიტო სერტიფიკატის მოქმედების განმავლობაში, სერტიფიკატის მფლობელი უფლებამოსილია გაასხვისოს სერტიფიკატი. სერტიფიკატის გასხვისება შესაძლებელია ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ნებისმიერ დროს, როგორც ბანკზე (ვადამდე გამოსყიდვა), ისე, მესამე პირზე (მეორადი გასხვისება). შესაძლებელია სერტიფიკატის მრავალჯერ გასხვისება ყოველი ახალი მფლობელის მიერ.

2.23 სერტიფიკატის გასხვისება უნდა განხორციელდეს ბანკის სერვის ცენტრში.

2.24 სერტიფიკატის გასხვისების მიზნით მფლობელი და შემძენი ერთდროულად მიმართავენ ბანკს სერტიფიკატის გასხვისების სურვილით.

მუხლი 3. სხვა პირობები და დასკვნითი დებულებები

3.1. წინამდებარე შეთანხმებასა და სადეპოზიტო სერტიფიკატის ამონაწერს შორის წინააღმდეგობისას უპირატესობა მიენიჭება სადეპოზიტო სერტიფიკატის ამონაწერში მითითებულ პირობებს.

3.2. 2018 წლის 1 იანვრიდან ბანკი მონაწილეობს „დეპოზიტების დაზღვევის სიტემის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილ დეპოზიტების დაზღვევის სისტემაში. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, დეპოზიტორის დეპოზიტზე/ანგარიშზე არსებული ხელმისაწვდომი თანხა ანაზღაურდება დეპოზიტების

დაზღვევის სააგენტოს მიერ 50 000 ლარის ფარგლებში, ხოლო დანარჩენი თანხა ანაზღაურდება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ ეწვიოთ სსიპ – დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ვებგვერდს: www.diagency.ge.

3.3. მხარეთა მიერ წინამდებარე შეთანხმების დადასტურებით სერტიფიკატის მფლობელი ეთანხმება, რომ იცნობს და ეთანხმება სადეპოზიტო სერტიფიკატის პირობებს, რომელიც განთავსებულია ბანკის ვებ-გვერდზე www.silkbank.ge და რომელიც ძალაში შედის წინამდებარე შეთანხმების დადასტურებისთანავე. აღნიშნული პირობები შეიძლება დროდადრო შეიცვალოს ბანკის მიერ. პირობების შეცვლისას, განახლებული პირობები ძალაში შევა მისი ბანკის ვებ-გვერდზე www.silkbank.ge გამოქვეყნებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის გასვლის შემდეგ. წინამდებარე შეთანხმების პირობებსა და ბანკის ვებ-გვერდზე www.terabank.ge განთავსებულ სადეპოზიტო სერტიფიკატის პირობებს შორის შეუსაბამობის არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება წინამდებარე შეძენის შეთანხმების პირობებს.

3.4. მომხმარებელს არ აქვს უფლება უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა ან/და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 9 მარტის N32/04 ბრძანებით დამტკიცებული „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის მიხედვით“.

3.5. მომხმარებელი უფლებამოსილია ბანკს წარუდგინოს პრეტენზია ზეპირი, წერილობითი და/ან ელექტრონული ფორმებით. პრეტენზიის წარდგენა შესაძლებელია ბანკის ნებისმიერ ფილიალში, სერვისცენტრში, სათავო ოფისში, ინტერნეტბანკში, ბანკის ელექტრონული ფოსტის მისამართზე: info@silkbank.ge. ბანკი უფლებამოსილია განიხილოს და იმავე ფორმით/არხით უპასუხოს დეპოზიტორის პრეტენზიას (თუ თვითონ დეპოზიტორი პრეტენზიის დაფიქსირების მომენტში არ მიუთითებს მისთვის სასურველ კონკრეტულ არხს), პრეტენზიის მიღებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში, აღნიშნული პრეტენზიის განხილვის ვადა ვრცელდება ნებისმიერი ტიპის პრეტენზიაზე, მიუხედავად პრეტენზიის შინაარსისა და განაცხადის ფორმისა. ამასთან, პრეტენზია შინაარსობრივად უნდა იყოს გასაგებად ჩამოყალიბებული, წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკს უფლება აქვს დეპოზიტორს მოსთხოვოს პრეტენზიის დაზუსტება ან მისი წერილობით წარმოდგენა.

3.6. მომხმარებელი არ არის უფლებამოსილი ვადაზე ადრე შეწყვიტოს წინამდებარე დეპოზიტის ხელშეკრულება.

3.7. წინამდებარე შეძენის შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე.